

ხელოვნური ინტელექტის მოდელების სწავლება და საავტორო უფლებები: თანამედროვე სამართლებრივი და ეთიკური გამოწვევები

ლიკა საჯაია

სამართლის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
lika.sajaia@giu.edu.ge
<https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12123>

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ხელოვნური ინტელექტის მოდელების სწავლების პროცესში საავტორო უფლებების დაცვის სამართლებრივ და ეთიკურ გამოწვევებს. კვლევა ეფუძნება მოსაზრებას, რომ AI სისტემების სწავლება წარმოშობს ავტორთა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის რისკს.

ნაშრომში გაანალიზებულია ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისა და AI გენერაციის კონცეპტუალური განსხვავება, AI ტრენინგის ეტაპები და განსხვავებული სამართლებრივი მიდგომები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აშშ-ის თავისუფალი გამოყენების დოქტრინას, ევროკავშირის ტექსტისა და მონაცემთა მაინინგის რეგულაციებს, იაპონიის ლიბერალურ მიდგომასა და ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის საავტორო სამართლის დაცვის გარანტიებს.

კვლევა აჩვენებს, რომ მსოფლიოში არსებული ფრაგმენტული სამართლებრივი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს ავტორთა უფლებების თანაბარ და ეფექტურ დაცვას. ნაშრომში ასევე შეფასებულია AI ტრენინგისას გამოყენებული დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა ლიცენზირება, ცალმხრივი განცხადებები, ვებ-გვერდის წესები და ტექნიკური პროტოკოლები.

საკვანძო სიტყვები: გენერაციული AI, საავტორო სამართალი, AI ტრენინგი, ტექსტისა და მონაცემთა მაინინგი, თავისუფალი გამოყენების დოქტრინა.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ თანამედროვე საავტორო სამართალი არაერთი ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. გენერაციული AI სისტემები ფუნქციონირებენ მონაცემთა მასშტაბური დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, ხოლო მათი სწავლება დაკავშირებულია დიდი მოცულობის ტექსტური, ვიზუალური და სხვა ტიპის ინფორმაციის გამოყენებასთან. აღნიშნული მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საავტორო სამართლით, რის გამოც აქტუალური გახდა კითხვა თუ რამდენად შეესაბამება AI მოდელების ტრენინგი საავტორო უფლებების დაცვის ფუნდამენტურ პრინციპებს.

საკითხის აქტუალობას ზრდის ისიც, რომ თანამედროვე სამართლებრივი სისტემები განსხვავებულად არეგულირებენ AI ტრენინგის პროცესს. ზოგიერთი იურისდიქცია პრიორიტეტს ტექნოლოგიური ინოვაციის განვითარებას ანიჭებს, ზოგი კი ავტორთა უფლებების

უფრო მკაცრ დაცვას. შედეგად, ჩამოყალიბდა ფრაგმენტული და არაერთგვაროვანი სამართლებრივი გარემო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ერთიან და სამართლიან დაცვას გლობალური ციფრული სივრცის პირობებში.

ნაშრომის მიზანია ხელოვნური ინტელექტის მოდელების სწავლების პროცესში საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეთიკური პრობლემების ანალიზი, ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისა და AI გენერაციის კონცეპტუალური გამიჯვნის წარმოჩენა და ავტორი უფლებათა დაცვის მექანიზმების შეფასება.

კვლევის ამოცანებია: ხელოვნური ინტელექტის და ადამიანის შემოქმედებითი პროცესის განსხვავების ანალიზი; AI ტრენინგის ტექნიკური და სამართლებრივი სპეციფიკის განხილვა; სხვადასხვა იურისდიქციის სამართლებრივი რეჟიმების შედარებითი ანალიზი; ბერნის კონვენციის სამსაფეხურიანი ტესტის შეფასება AI ტრენინგის კონტექსტში; საავტორო უფლებების დაცვის არსებული სამართლებრივი და ტექნიკური მექანიზმების ეფექტიანობის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, სასამართლო პრაქტიკის, აკადემიური ლიტერატურისა და სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციების ანალიზი.

კვლევის ჰიპოთეზაა, რომ გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ტრენინგი, განსაკუთრებით კომერციული მიზნებისთვის, ვერ თავსდება საავტორო უფლების შეზღუდვის ტრადიციულ ჩარჩოში და საჭიროებს ერთიან, ჰარმონიზებულ და ტექნიკურად აღსრულებად სამართლებრივ რეგულირებას, რომელიც უზრუნველყოფს ავტორთა უფლებების ეფექტურ დაცვას ტექნოლოგიური განვითარების პირობებში.

1. ადამიანური შემოქმედება და AI გენერაცია: კონცეპტუალური გამიჯვნის აუცილებლობა

ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ ასოცირდება ადამიანის ინტელექტის ანალოგთან, თუმცა AI სისტემები არ ფლობენ ცნობიერებასა და შემეცნებით უნარებს, რომლებიც ინტელექტის ტრადიციული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური გაგების საფუძველს წარმოადგენს. ინტელექტი (ლათ. Intellectus - გაგება, შემეცნება, გონება) პიროვნების თვისებაა რომელიც აზროვნების უნარსა და გონებრივ განვითარებას უკავშირდება.

ხელოვნური ინტელექტი კომპიუტერული მეცნიერებების სფეროა, რომელიც ფუნქციონირებს ალგორითმული დამუშავებისა და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის პრინციპებზე. შესაბამისად ხელოვნური ინტელექტის „ინტელექტუალობა“ შეიძლება მივიჩნიოთ ტექნოლოგიურ სიმულაციად. მონაცემებზე დაფუძნებული ალგორითმული პროგნოზირების სისტემისთვის ინტელექტის ნიშნის მინიჭება მარკეტინგული გათვლა უფროა ვიდრე რეალობის ასახვა.

საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როდესაც ვსვამთ კითხვას - შეუძლია თუ არა ხელოვნურ ინტელექტს ხელოვნებისა და ლიტერატურის შექმნა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე, უპრიანია დავსვათ უფრო ფუნდამენტური კითხვა: შეუძლია თუ არა ნებისმიერ

ადამიანს ხელოვნებისა და ლიტერატურის შექმნა, თუ ამას მაინც განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება? ნიჭი მხოლოდ ინტელექტს არ გულისხმობს. იგი მოიცავს შემოქმედებით უნარსაც, რომელიც ინტელექტისგან განსხვავებული განზომილებაა. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული უნარი ზოგადად კი არ არის უნივერსალური ადამიანისთვის, მისი მიკუთვნება კარგად გამართული ალგორითმული მექანიზმისთვის თეორიულადაც კი დაუშვებელია.

შემოქმედებითი პროცესი არ არის არაფრისგან ქმნა. ყველაზე დიდი შემოქმედებებიც კი ინსპირაციას იღებენ უკვე არსებული კულტურული, სოციალური გარემოდან თუ არსებული ხელოვნების ნიმუშებიდან. ინსპირაციაც ისევე როგორც შემოქმედება მხოლოდ ადამიანური თვისებაა. ინსპირაციის წყარო შემოქმედის ცნობიერებაში სახეს იცვლის მისი განწყობის, გამოცდილების, მორალური კრიტერიუმისა თუ სოციალურ/კულტურული ჩარჩოების გავლენით და იბადება ახალი, ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც გამოხატავს ავტორის ინდივიდუალობას.

AI სისტემებს არ აქვთ ინსპირაციის უნარი, ისევე, როგორც არ აქვთ შემოქმედების უნარი. AI-ის ნეირონული ქსელი ასობით მილიარდი სიტყვის ტექსტს “კითხულობს” სტატისტიკური პარამეტრების სახით, რომლებიც შემდეგ ახალი ტექსტის გენერაციის საფუძველია.¹

თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემები სწავლობენ მილიარდობით ტექსტურ ერთეულს და მრავალფეროვან საინფორმაციო წყაროებს, რის შედეგადაც მათი „ცოდნის ბაზა“ რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატება ინდივიდუალური ადამიანის მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაგროვებულ ინფორმაციას. AI-ის შესაძლებლობები ეფუძნება არა სუბიექტურ გამოცდილებას, არამედ მასშტაბურ მონაცემთა დამუშავებას, რაც მას ანიჭებს ინფორმაციის დაფარვის უპრეცედენტო ფართო არეალს, თუმცა არა ადამიანური ცნობიერებისთვის დამახასიათებელ გააზრების, შემოქმედებით უნარსა და ინტერპრეტაციულ სიღრმეს.

ხელოვნური ინტელექტის ე.წ. „ცოდნის ბაზა“ AI მოდელების სწავლებიდან/დატრენინგებიდან მიიღწევა. AI-ის სასწავლო პროცესი, სტრუქტურულად, სამ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე ხდება მონაცემთა შეგროვება (data collection) - ტექსტის ამოღება ციფრული წყაროებიდან. ავტომატური სისტემა სკანირებს ინტერნეტის მილიარდობით გვერდს და ამუშავებს მათზე განთავსებულ ტექსტურ ინფორმაციას. მეორე ეტაპია ტრენინგი (training) - ნეირონული ქსელი ამ ტექსტურ მონაცემებს ამუშავებს სტატისტიკური კანონზომიერებების გამოსავლენად და სწავლის პროცესში თანდათან არეგულირებს ათობით მილიარდ პარამეტრს, რათა უკეთ მოახდინოს ინფორმაციის პროგნოზირება და ინტერპრეტაცია. მესამე ეტაპზე - ინფერენცია (inference) - მოდელი ახალ ტექსტს გენერირებს.

სამივე ეტაპზე AI მოდელები იყენებენ საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებს, ადამიანის ინტელექტუალურ პროდუქტს და ალგორითმული სისტემით მათგან აგენერირებენ ახალ ტექსტს/პროდუქტს, ახალ მაგრამ არა ორიგინალურს, რადგან ტექსტი/პროდუქტი მთლიანად უკვე

¹Paul Goldstein & Bernt Hugenholtz, International Copyright: Principles, Law, and Practice (4th edn, Oxford University Press, 2019), ch. 9.

არსებულს ეფუძნება და არ შეიცავს დამოუკიდებელი შემოქმედებითობის თუნდაც მცირე ელემენტს. ამიტომ ვიყენებთ განსხვავებულ ტერმინებს: ადამიანები ქმნიან და ხელოვნური ინტელექტი აგენერირებს. ამ პერსპექტივიდან, ადამიანის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი პროცესი და ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული გენერაცია კონცეპტუალურად უნდა გაიმიჯნოს: ადამიანი წარმოადგენს ავტორს, რომელიც ქმნის შემოქმედებით და სუბიექტურ ინტელექტუალურ ნაწარმოებს, მაშინ როდესაც ხელოვნური ინტელექტი მოქმედებს როგორც მონაცემებზე დაფუძნებული გენერაციული სისტემა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, AI არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ავტორი კლასიკური საავტორო სამართლის გაგებით, თუმცა მისი მუშაობის პროცესში შესაძლოა წარმოიშვას საავტორო უფლებების დარღვევის რისკი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი დატრენინგებისთვის გამოყენებული მონაცემები მოიცავს საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებს.

2. AI ტრენინგის განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი

ხელოვნური ინტელექტის მოდელების ტრენინგთან დაკავშირებული სამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვა იურისდიქციაში მნიშვნელოვნად განსხვავდება და შედეგად ვიღებთ განსხვავებულ ბალანსს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ტექნოლოგიური ინოვაციის ხელშეწყობის ინტერესებს შორის.

აშშ-ის სამართალში საავტორო უფლებების გამონაკლისი „თავისუფალი გამოყენების დოქტრინა“ ოთხკომპონენტთან ტესტზეა დაფუძნებული და AI-ის ტრენინგის კონტექსტში იგი ინტენსიური დებატების საგანია. სასამართლო პრაქტიკაში, მაგალითად *Authors Guild v. Google*² დადგინდა ტექსტის ტრანსფორმაციული გამოყენება, რადგან Google Books ტექსტებს არ ანაცვლებდა, არამედ მათ შესახებ ინფორმაციას ქმნიდა. ამ ლოგიკით, AI-ის ტრენინგიც ხშირად განიხილება როგორც ტრანსფორმაციული პროცესი, რომელიც ქმნის არა ტექსტის ასლს, არამედ სტატისტიკურ მოდელს.

თუმცა ეს ანალოგია სრულად იდენტური არ არის. Google Books-ის შემთხვევაში ტექსტი ინდექსირდებოდა და ნაწილობრივ ხელმისაწვდომი რჩებოდა მომხმარებლისთვის, მაშინ როდესაც AI-ის მოდელები ტექსტურ მონაცემებს გარდაქმნიან პარამეტრებად და შემდეგ ქმნიან ახალ ტექსტს. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ დაცული ნაწარმოებების კოპირებას ტრანსფორმაციულობის მსგავსი საფუძვლიანი პრეტენზია არ გააჩნია. ნაწარმოებები სრულად კოპირდება და ხდება მექანიკური კოდირება AI მოდელში, ისე რომ არ უზრუნველყოფს რაიმე საძიებო მექანიზმს ან სხვა ფუნქციურ დანიშნულებას, მითუმეტეს კრიტიკას ან კომენტარს.³ ამ შემთხვევაში მომხმარებელი ასევე აღარ არის ინფორმირებული პირველწყაროს შესახებ. ავტორს ადგება როგორ ეკომონიკური ზიანი ასევე ილახება მისი პირადი არაქონებრივი

²*Authors Guild, Inc. v. Google, Inc.* 2015. United States Court of Appeals for the Second Circuit, 804 F.3d 202, 216 (2d Cir. 2015).

³Jacqueline C. Charlesworth, *Generative AI's Illusory Case for Fair Use*, *Vanderbilt Journal of Entertainment & Technology Law* 27, no. 3 (May 2025): 359.

უფლებები. Andy Warhol Foundation v. Goldsmith⁴-ის გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამკაცრა „ტრანსფორმაციული გამოყენების“ შეფასება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომერციული მიზანი და გამოყენების განსხვავებული ხასიათი ყოველთვის საკმარისი არ არის თავისუფალი დოქტრინის დასამტკიცებლად.

ევროკავშირში 2019 წლის დირექტივით 2019/790 საავტორო უფლებებისა და ერთიანი ციფრული ბაზრის შესახებ⁵ დანერგა ტექსტისა და მონაცემთა მაინინგის გამონაკლისები. სამეცნიერო კვლევისთვის ტექსტისა და მონაცემების ანალიზი ავტომატიზებული მეთოდებით დასაშვებია, ხოლო კომერციული გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებების მფლობელმა არ გამოიყენა „opt-out“ მექანიზმი (უარის დაფიქსირება მანქანურად წაკითხვადი ფორმით).

ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის შესახებ რეგულაცია ავალდებულებს AI კომპანიებს გაამჟღავნონ ტრენინგის მონაცემების ზოგადი წყაროები, რაც ქმნის გამჭვირვალობის ახალ მექანიზმს, თუმცა ის არ ითვალისწინებს წარსული გამოყენებისთვის კომპენსაციას.⁶

დიდ ბრიტანეთში საავტორო უფლებების, დიზაინისა და პატენტის აქტი⁷ ტექსტისა და მონაცემების მაინინგს უშვებს მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისა და არა კომერციული გამოყენებისათვის.

იაპონიაში კი მოქმედებს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური რეჟიმი. იაპონიის საავტორო სამართალი⁸ უშვებს მონაცემთა ანალიზს და AI-ის ტრენინგს, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის, ავტორის ნებართვის გარეშე, თუ გამოყენება ხდება ინფორმაციის ანალიზის ფარგლებში.

შესაბამისად, AI ტრენინგის სამართლებრივი რეჟიმი გლობალურად არაერთგვაროვანია და განსხვავებულად არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და ინოვაციის განვითარების შორის მუდმივ ბალანსს.

3. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია და AI მოდელების სწავლება

AI-ის ტრენინგის პროცესში საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენება აუცილებელია შეფასდეს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციით⁹, რადგან სწორედ იგი წარმოადგენს საავტორო სამართლის სფეროში მთავარ საერთაშორისო აქტს. ბერნის კონვენციის სამსაფეხურიანი ტესტი ადგენს სამ კრიტერიუმს: გამოყენება უნდა იყოს სპეციალური შემთხვევა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნაწარმოების

⁴Andy Warhol Foundation for the Visual Arts, Inc. v. Goldsmith. 2023. Supreme Court of the United States, 598 U.S. 508, 532 (2023).

⁵EU Directive 2019/790 (DSM Directive)

⁶Regulation (EU) 2024/1689

⁷UK, Copyright, Designs and Patents Act 1988

⁸Japanese Copyright Act, Article 30-4

⁹Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works, 1886

ნორმალურ ეკონომიკურ ექსპლუატაციას და არ უნდა აყენებდეს არაგონივრულ ზიანს უფლებათა მფლობელის ლეგიტიმურ ინტერესებს.¹⁰

ამ ჩარჩოს მიხედვით, AI ტრენინგი ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს ტექნოლოგიურად განსაზღვრულ „სპეციალურ შემთხვევად“, თუმცა მეორე და მესამე კრიტერიუმები განსაკუთრებით პრობლემურია. AI მოდელების სწავლებისას ხდება ნაწარმოებების მასობრივი დამუშავება, რაც პოტენციურად აზიანებს მათ ნორმალურ კომერციულ გამოყენებას. როდესაც AI სწავლობს ავტორთა ნაწარმოებებზე მასობრივად და მათგან ქმნის ახალ კონკურენტულ პროდუქტებს, ამით ირღვევა ავტორის ქონებრივი უფლებები და შესაბამისად, მას ქონებრივი ზიანი ადგება.

აღიშნულ დისკუსიაში მნიშვნელოვანი თეორიული საკითხია ბერნის კონვენციის შესაბამისობაც ტექნოლოგიურ პროგრესთან. ტექნოლოგიური განვითარებისა და განსაკუთრებით გენერაციული AI-ის ფონზე ხშირად ჩნდება კითხვა, რამდენად ადეკვატურად პასუხობს ეს კონვენცია თანამედროვე ციფრულ რეალობას და ხომ არ საჭიროებს იგი გადახედვას რათა უკეთ ასახავდეს მონაცემებზე დაფუძნებული ავტომატიზებული სისტემების სპეციფიკას? ბერნის კონვენციის თანახმად, ავტორის ქონებრივი უფლებები არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია შეიზღუდოს. თუმცა ასეთი შეზღუდვები ყოველთვის ემსახურება კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზნებს - ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას, კრიტიკას, მეცნიერებისა და განათლების განვითარებას. ამ მიზნების მიღმა, მაგალითად, როდესაც ხელოვნური ინტელექტის სწავლება მიმართულია მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნეს მოდელზე, ჩნდება კითხვა, რამდენად მართლდება შეზღუდვის გამოყენება იმავე საფუძვლებით.

გამოყენების მთავარი მიზანს თუკი არის კომერციული მოგების მიღება და არა საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა წარმოადგენს ამგვარი გამოყენება აღარ ჯდება ბერნის კონვენციით გათვალისწინებული გამონაკლისების ლოგიკაში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში უფრო მკაფიოდ იკვეთება ავტორის ნებართვის მიღებისა და შესაბამისი კომპენსაციის აუცილებლობა.

ამგვარად, AI ტრენინგი რთულად თავსდება ბერნის სამსაფეხურიანი ტესტით განსაზღვრულ საავტორო უფლების შეზღუდვის დასაშვებ ჩარჩოში, რადგან იგი ხშირად ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ ექსპლუატაციას და ქმნის არაგონივრული ზიანის რისკს, ხოლო გამოყენების მიზანი სცდება ტრადიციულად აღიარებულ საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. საავტორო უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები AI მოდელების სწავლებისას

ხელოვნური ინტელექტის ტრენინგისას საავტორო უფლებების დაცვისთვის გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი. მათ შორის მნიშვნელოვანია: ცალმხრივი განაცხადი, ლიცენზიის ხელშეკრულება და ვებ-გვერდის წესები და პირობები.¹¹

¹⁰World Intellectual Property Organization (WIPO), Guide to the Copyright and Related Rights Treaties Administered by WIPO and Glossary of Copyright and Related Rights Terms (Geneva: WIPO, November 2003), 56.

¹¹Lucchi, Generative AI and Copyright. 2025, 41.

სამართლებრივი მექანიზმების ძირითადი პრობლემას წარმოადგენს, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფენ საავტორო უფლების მფლობელის ნების ტექნიკურ დონეზე აღქმას და ავტომატურ შესრულებას. შედეგად ზოგჯერ დეკლარაციულ და ინდივიდუალურ ინსტრუმენტებად რჩებიან და არა სისტემურ დაცვის მექანიზმებად.

ცალმხრივი განაცხადი წარმოადგენს საავტორო უფლებების მფლობელის საჯაროდ გამოხატულ ნებას მისი ნაწარმოების გამოყენების შესახებ. ასეთი განცხადება შეიძლება განთავსდეს ვებ-გვერდზე, თან დაერთოს ნაწარმოების ასლს ან პირდაპირ მიეწოდოს ხელოვნური ინტელექტის პროვაიდერს. თუმცა, მისი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ცალმხრივი განაცხადი ძირითადად ადამიანის მიერ წაკითხვადი ტექსტია და არ წარმოადგენს კომპიუტერისთვის გასაგებ ინსტრუქციას. მისი აღსრულება დამოკიდებულია იმაზე, აღიქვამს თუ არა მას მესამე მხარე სამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნად. ცალმხრივი განაცხადი ვერ აკმაყოფილებს კომპიუტერული წაკითხვადობისა და ავტომატური შესრულებადობის კრიტერიუმებს. შესაბამისად, იგი უფრო წარმოადგენს საჯარო პოზიციის გამოხატვას, ვიდრე ეფექტურ ტექნიკურ ან სამართლებრივ ბარიერს.

შედარებით ძლიერი მექანიზმია ლიცენზიის ხელშეკრულება, რადგან იგი ქმნის ორმხრივ, იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას საავტორო უფლების მფლობელსა და მომხმარებელს შორის. მისი მეშვეობით შესაძლებელია დეტალურად განისაზღვროს ნაწარმოების გამოყენების პირობები, მათ შორის AI ტრენინგის მიზნებისთვის გამოყენება და შესაბამისი ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ მექანიზმის მასშტაბური გამოყენება პრობლემურია. გენერაციული AI სისტემების სწავლება მოითხოვს უზარმაზარ მოცულობის მონაცემებს, რაც გულისხმობს ათასობით ან მილიონობით უფლების მფლობელთან ინდივიდუალური ან კოლექტიური შეთანხმებების გაფორმების აუცილებლობას.

შესაბამისად, ლიცენზირების სისტემა რჩება ეფექტიან ინსტრუმენტად ინდივიდუალურ ან სპეციალიზებულ შემთხვევებში, თუმცა არა უნივერსალურ გადაწყვეტად AI ტრენინგის რეგულირებისთვის.

ავტორის უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმად ასევე შეიძლება განვიხილოთ ვებ-გვერდის წესები და პირობები, რომელიც განსაზღვრავს საიტის გამოყენების პირობებს და მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს. მისი ეფექტიანობა ასევე შეზღუდულია. პირველ რიგში, წესები და პირობები ძირითადად ადამიანის ენაზეა დაწერილი და არ არის ტექნიკურად სტრუქტურირებული ისე, რომ AI სისტემებმა ავტომატურად აღიქვან მათი შინაარსი. ეს მექანიზმიც ვერ ქმნის საკმარისად ეფექტურ და ტექნოლოგიურად აღსრულებად დაცვის სისტემას AI ტრენინგის კონტექსტში.

სამივე სამართლებრივი მექანიზმი (ცალმხრივი განაცხადი, ლიცენზიის ხელშეკრულება და ვებ-გვერდის წესები და პირობები) გარკვეულ როლს ასრულებს საავტორო უფლებების დაცვის სისტემაში, თუმცა მათი ეფექტიანობა შეზღუდულია გენერაციული AI ტრენინგის სპეციფიკის გამო. არსებული სამართლებრივი მექანიზმები ვერ ქმნის უნივერსალურ, ერთიან და პრაქტიკულად ეფექტიან ჩარჩოს AI ტრენინგის პირობებში საავტორო უფლებების დასაცავად. მათი ძირითადი შეზღუდვა სწორედ ისაა, რომ ისინი ან ზედმეტად დეკლარაციულ ხასიათს

ატარებენ, ან ზედმეტად რთულ და ხარჯიან ადმინისტრაციულ პროცესებს უკავშირდებიან, რის გამოც ვერ ხდება მათი ეფექტური აღსრულება.

აუცილებელია ისეთი მოქნილი სამართლებრივი მოდელის შემუშავება, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს უფლებების აღიარებასა და მათ ტექნიკურ აღსრულებას. მხოლოდ სამართლებრივი და ტექნიკური ინსტრუმენტების ინტეგრირებული მიდგომა შეიძლება იქცეს უნივერსალური დაცვის საფუძვლად, სადაც ავტორის ნება არა მხოლოდ ფორმალურად დაფიქსირდება, არამედ რეალურად და ავტომატურად განხორციელდება ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ.

კვლევის შედეგები

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ საავტორო სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. თანამედროვე AI სისტემები ეფუძნება მონაცემთა მასშტაბურ დამუშავებას და მათი ტრენინგი პრაქტიკულად შეუძლებელია საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენების გარეშე, რაც პირდაპირ უკავშირდება ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

ნაშრომმა წარმოაჩინა, რომ ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა და AI-ის მიერ განხორციელებული გენერაცია არსებითად განსხვავებული პროცესებია. ადამიანი ქმნის ნაწარმოებს ცნობიერების, გამოცდილებისა და შემოქმედებითი თავისუფლების საფუძველზე, ხოლო AI ფუნქციონირებს ალგორითმული და სტატისტიკური დამუშავების პრინციპებით. შესაბამისად, AI ვერ ჩაითვლება ავტორად კლასიკური საავტორო სამართლის გაგებით.

კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ მსოფლიოში AI ტრენინგის ერთიანი სამართლებრივი რეჟიმი არ არსებობს. აშშ, ევროკავშირი და იაპონია განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ, რაც ქმნის სამართლებრივი გაურკვევლობისა და არათანაბარი დაცვის რისკს. აუცილებელია უფრო ჰარმონიზებული საერთაშორისო ჩარჩოს შექმნა.

ბერნის კონვენციის სამსაფეხურიანი ტესტის ანალიზმა აჩვენა, რომ AI ტრენინგი არ შეიძლება მივიჩნიოთ საავტორო უფლების შეზღუდვის საფუძვლად. ბერნის კონვენციით დაშვებული შეზღუდვები ისტორიულად ემსახურებოდა განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნებს, მაშინ როდესაც გენერაციული AI სისტემების ფუნქციონირება ხშირ შემთხვევაში კომერციულ სარგებელზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ავტორისგან ნებართვის მიღება და შესაბამისი კომპენსაცია კანონის დაცვით.

დასკვნა

სავტორო უფლებების დაცვისათვის აუცილებელია ისეთი მოქნილი და ინტეგრირებული სამართლებრივი მოდელის შექმნა, რომელიც გააერთიანებს სამართლებრივ და ტექნიკურ მექანიზმებს და უზრუნველყოფს ავტორის ნების არა მხოლოდ ფორმალურ დაფიქსირებას, არამედ მის ავტომატურ და ტექნიკურ აღსრულებასაც AI სისტემების მიერ.

ხელოვნური ინტელექტის განვითარება არ უნდა მოხდეს ადამიანის შემოქმედებითი შრომისა და საავტორო უფლებების ხარჯზე. ტექნოლოგიური პროგრესი მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი და მდგრადი, თუ იგი თანაბრად დაიცავს როგორც ინოვაციის განვითარებას, ისე ავტორთა ეკონომიკურ, მორალურ და ეთიკურ ინტერესებს.

ბიბლიოგრაფია

1. Goldstein, Paul, and Bernt Hugenholtz. International Copyright: Principles, Law, and Practice. 4th ed. Oxford: Oxford University Press, 2019.
2. Charlesworth, Jacqueline C. "Generative AI's Illusory Case for Fair Use." *Vanderbilt Journal of Entertainment & Technology Law* 27, no. 3 (May 2025).
3. Lucchi, Nicola. "Generative AI and Copyright." 2025.
4. World Intellectual Property Organization (WIPO). Guide to the Copyright and Related Rights Treaties Administered by WIPO and Glossary of Copyright and Related Rights Terms. Geneva: WIPO, November 2003.

საერთაშორისო აქტები

1. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works, 1886.
2. Regulation (EU) 2024/1689 (Artificial Intelligence Act).
3. Directive (EU) 2019/790 (Digital Single Market Directive).

კანონები და სასამართლო გადაწყვეტილებები

1. Copyright, Designs and Patents Act 1988 (United Kingdom).
2. Japanese Copyright Act.
3. Authors Guild, Inc. v. Google, Inc., 804 F.3d 202, 216 (2d Cir. 2015).
4. Andy Warhol Foundation for the Visual Arts, Inc. v. Goldsmith, 598 U.S. 508, 532 (U.S. 2023).